სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 6 23 0000032722

16/01/2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 34-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N01-05-04/224 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2023 წლის 16 იანვარს გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად 6 წლის ვადით, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N01-05-04/224 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების შესაბამისად.
2. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2023 წლის 16 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში - თბილისი, კოსტავას, 77, მე-4 სასწავლო კორპუსი, მე-4 სართული, მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია.
3. კონკურსი ჩატარდეს 2023 წლის 27 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს 2023 წლის 06 მარტს, უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო კორპუსში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

4. კონკურსთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2023 წლის 06 მარტიდან 09 მარტის ჩათვლით.
5. აკადემიურ საბჭოში კონკურსის შედეგების დამტკიცების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 15 მარტი.
6. აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/ არა უგვიანეს 2023 წლის 16 მარტისა.
7. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).



რექტორი
გურგენიძე დავით